საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება „არმადა“-ს დირექტორის
ბ-ნი პაატა ხარაზიშვილის

განცხადება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არმადა“ (პ/ნ404892915), ქ. თბილისში, სამგორის რაიონი, როსტომ აბრამიშვილის ქ. #25, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.19.14.004.071, რომელიც წარმოადგენს შპს „ბერალი“-ს საკუთრებას და მისი საკუთრებაში არსებული შენობის 360 m^2 ს ფართი იჯარით აქვს აღებული· გააჩნია პოლიეთილენის ფირებისა წარმოების საამქრო, რომელიც მუშაობს პირველად გრანულებზე. საწარმოში დაიგეგმა სხვადასხვა საწარმოებიდან და მოსახლეობიდან შემოტანილ პოლიეთილენის ნარჩენებზე, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ შესაფუთი მასალის ნარჩენებს, პოლიეთილენის ფირებისა და შესაფუთი მასალების წარმოება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლი მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების ახალი კოდექსის მე-2 დანართის 10.3 პუნქტის თანახმად (ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა) ექვემდებარება სკრინინგის პროცედურების გავლას, რის საფუძველზე საწარმომ გაიარა სკრინინგის პროცედურა და ის დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (ბრძანება 2-298, 31.03.2020 წ).

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არმადა“** ვალდებულია პირველ ეტაპზე მოამზადოს სკოპინგის ანგარიში, ხოლო შემდგომ სკოპინგის დასკვნის საფუძველზე გზშ-ს ანგარიში.

აქედან გამომდინარე კოდექსის მე-29 პუნქტის შესაბამისად შემუშავებულ იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად.

წერილს თან ერთვის:

- **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არმადა“** პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლოატაციის სკოპინგის ანგარიში და ელექტრული ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიის shp ფაილები.

პატივისცემით

პაატა ხარაზიშვილი
დირექტორი

№ 8025
01" 06 2020
1/CD